ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 თებერვალი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 41 (10 210) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პირველი ოქროს მედალი ჩვენია



გუშინ საღამოს გამოვლინდნენ ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები სამ წონით კატეგორიაში. მძიმე წონაში დავით ხახალეიშვილმა წმინდად დაამარცხა აკაკი კიბორძალიძე და პირველად მოიპოვა ამ პოპულარული ახპარეზობის ჩემპიონობა.

95 კგ. წონაში პირველი ადგილი დაიკავა ანდრეი პოპოვმა, რომელმაც ფინალში ვეფხია კაპანაძეს ხძლია. ლერი ეორეოლიანი მეხამე ადგილზე გავიდა.

86 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ფრანგი პასკალ ტაიო. დავით ბაგაურმა მეორე ადგილი დაიკავა, ვახილ ომარაშვილმა — მეხამე.

ს უ რ ა თ ზ ე: დ. ხახალეიშვილი.

ოფიციალური ჩემპიონატებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ტურნირებზე ზოგი რამ სწორედ შეჯიბრების დაწყებისას ირკვევა ხოლმე. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მონაწილეთა შემადგენლობა, რადგან ისეც მომხდარა, რომ ზოგიერთი სპორტსმენი თუ გუნდი უკვე მიმდინარე შეხვედრებში ჩაბმულა.

ასევე, თბილისის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეთა რიცხვი ბოლო მომენტამდეც კი იზრდება ხოლმე და, როცა მსაჯი სპორტსმენთა პირველ წყვილს ტატამზე უხმობს, მაშინ თუ ვხედავთ, ვინ გვეწვია შეჯიბრებაზე და ვინ არა.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ეს უმნიშვნელოვანესი ტრადიციული ასპარეზობა და უკვე შეგვიძლია ჩამოგითვალოთ რომელი ქვეყნის სპორტსმენები ესტუმრნენ ამჯერად თბილისს. ტურნირში ასპარეზობენ იაპონიის, საფრანგეთის, ესპანეთის, თურქეთის, ირანის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს გუნდები.

ჩამოთვლა იაპონელებით დავიწყეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გუნდი აქ მხოლოდ სახელით თუ მოიწონებს თავს. ამომავალი მზის ქვეყნიდან სულ ოთხი სპორტსმენი გვეწვია და არც ერთ მათგანს რაიმე მნიშვნელოვანი ტიტული არა აქვს. ბოლო ხანს რატომღაც ისე ხდება, რომ ჩვენთან ჩამოდიან სახელმოხვეჭილი იაპონელი ძიუდოისტები. ოღონდ — მწვრთნელების როლში. თან საკმაოდ დაბალი რანგის მოჭიდავეები ჩამოჰყავთ და (შარშანდელი შეჯიბრება გამონაკლისი იყო) ახლაც ასეა. რას გაუგებ მათს გეგმებს, შეკითხვაზე თავაზიანად იღიმებიან და „დიპლომატიურ“ პასუხს ამჯობინებენ.

სამაგიეროდ, თუ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს ვერწმუნებით, მისი შვიდივე სპორტსმენი თავისი ქვეყნის ჩემპიონია სხვადასხვა წონაში. ეს ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს. სხვა ქვეყნების სპორტსმენთა სიძლიერეზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან გუშინ შეხვედრები სამ წონაში ჩატარდა და დანარჩენ უცხოელთაგან ვერავინ გა-

იხ. მე-3 გვ.

ახლა მთავარია საქმე

კამათი დავამთავროთ, მხარში ამოვუდგეთ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას

საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციის შექმნა დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში. მეტიც, ეს საკითხი თავისი რეზონანსით გასცდა კიდეც უწყებრივ ჩარჩოებს. ფედერაციის გადაწყვეტილებამ, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე, იმთავითვე გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა — ცხელ გულზე ზოგმა მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება ნაადრევად იყო გამოტანილი, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის საჭიროებას და საკავშირო ფედერაციასთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობას არავინ უარყოფდა.

გავიდა დღეები და საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ სწორი გადაწყვეტილებაა გამოტანილი და ახლა მთავარია მისი ცხოვრებაში გატარება.

„ლელოში“ განუწყვეტლივ ვიღებთ წერილებს და დეპეშებს, რომელთა ავტორები კვლავ უბრუნდებიან ქართული ფეხბურთის თემას. გვიზიარებენ თავიანთ აზრს და წინადადებებს. რედაქცია დიდ მადლობას უხდის ყველა ავტორს და ბოდიშს იხდის, რომ ეს წერილები გაზეთში ვერ დაიბეჭდა. არა იმიტომ, რომ მათი რიცხვი ესოდენ დიდია, მთავარი ისაა, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია და პოლემიკის განახლება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ემოციების დრო აღარ არის. ახლა მთავარია საქმე. ყველა, ვისაც ქართული ფეხბურთის სუვერენიტეტის ბედი აღელვებს, მხარში უნდა ამოუდგეს ახალშექმნილ დამოუკიდებელ ფედერაციას, იბრძოლოს მისი საფუძვლების განმტკიცებისთვის. ერთად ვეძებოთ გზები საერთაშორისო ფეხბურთში ჩვენი ადგილის დამკვიდრებისთვის.

დიახ, ახლა მთავარია საქმე!

„ლელოს“ რედაქციას

● **თბილისს** ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივს სურს თავისი წვლილი შეიტანოს ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საქმეში. ვთხოვთ რესპუბლიკის დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს დაგვეხმაროს ფეხბურთის მატჩების 100 აბონემენტის შეძენაში.

წერილს ხელს აწერს 100 კაცი.

● მივესალმებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დუმფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებას. ახლად დაარსებულ ფედერაციას ძნელი გზა აქვს გასავლელი ფიფა-ში და უეფა-ში გასაწევრიანებლად, რაც გარკვეულ მატერიალურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. გთხოვთ, ფედერაციამ, თქვენი გაზეთის საშუალებით, გვაცნობოს რა გზით შეიძლება დავეხმაროთ მას.

საქსახმომარაგების ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი.

როგორ არის კარატისტების საქმე?

შემოვუნახოთ მთამომავლობას

„მიემგზავრებიან თუ არა საქართველოს კარატისტები პერუში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, რის შესახებაც იუწყებოდა „ლელო“ და გვარდება თუ არა ის პრობლემები, რომლებზეც ადრე წერდით?“ — ახლა ამ საკითხზე ყოველდღიურად ბევრი სპორტის მოყვარული გვირეკავს რედაქციაში. რედაქციამ მიიღო უფლება, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით განაცხადოს, რომ საქართველოს სპორტსახკომისა და ცალკეული რესპუბლიკური ორგანოების დახმარებით ზოგიერთი პრობლემა უკვე მოიხსნა. მაგალითად, მთელი სპორტული დელეგაციისთვის შეძენილია თვითმფრინავის ბილეთები მოსკოვიდან პერუში გასაფრენად. გვარდება ვალუტის საკითხი. საქმე ისაა, რომ მიღებულია ნებართვა სახელმწიფო ბანკიდან საბჭოთა ფულით კომერციულ ფასებში ვალუტის შესყიდვის თაობაზე, მაგრამ... ახლა საბჭოთა ფულის გადამხდელი ორგანიზაცია უნდა გამოჩნდეს. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც დროულად უზრუნველყოფს ვიზებს და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი სპორტული დელეგაცია გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს დიდი მნიშვნელობის ეროვნული საკითხია. ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, „ლელოს“. მეშვეობით გაუწიოს შუამდგომლობა და აუწყოს საზოგადოებრიობას, რომ მსოფლიო ჩემპიონატში ქართველი კარატისტების მონაწილეობა არის ისტორიული მოვლენა, რომელიც აუცილებლად უნდა აღიბეჭდოს ვიდეოფირზე.

მაშ ასე, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს ვთხოვთ 1-დან 13 მარტამდე ჩვენს სპორტულ დელეგაციას ათხოვონ ვიდეოკამერა. რა ეშნათ, ჯერჯერობით ბევრ საქმეში გვჭირდება ერთმანეთის დახმარება. გელით „ლელოს“ რედაქციაში ტელეფონზე — 99-56-14.

პარის იდეა!

„სოვეტსკი სპორტის“ 27 თებერვლის ნომერში, რუბრიკით „საყურადღებო სიახლენი“, ასეთი ცნობა წავიკითხეთ:

„ნიუ-იორკის ლატვიური სპორტული კლუბის თავმჯდომარე ტეოდორ ალძერისი ამას წინათ სტუმრად იმყოფებოდა რიგაში და წინადადება წამოაყენა ლატვიის დედაქალაქში მოეწყოს ლატვიელთა მსოფლიო თამაშები. მისმა ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკაში, ადგილობრივმა ტელევიზიამ მოაწყო პრესკონფერენცია, ხოლო გაზეთმა „სპორტსმა“ პირდაპირი სატელეფონო კავშირი დაამყარა მკითხველებთან“.

ამ ცნობამ, მართალი გითხრათ, აგვაფორიაქა. ჩვენ არ ვიცით არსებობს თუ არა ნიუ-იორკში ან სადმე სხვაგან ქართული სპორტული კლუბი, მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რომ ქართველი სპორტსმენები მრავლად არიან სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში, მრავლად გვეგულება ისინი უცხოეთშიც.

რა მოხდებოდა, რომ დავამყაროთ მათთან ურთიერთობა და თბილისში მოვაწყოთ სრულიად ქართველთა სპორტული ასპარეზობა. ჩვენი სპორტსმენები ერთმანეთს გაიცნობენ, დაუახლოვდებიან, დაუმეგობრდებიან, რაც შეეხება მაყურებლებს აქ ეჭვი არ გვეპარება — მთელი საქართველო ფეხზე დადგება!

ვითავოთ ეს საქმე და კიდევ ერთი ღირსშესანიშნავ საშვილიშვილო ტრადიციას ჩაეუყაროთ საფუძველი!

პარიზის გავლით ჰოლანდიაში

ამ იდეას ქართული ყოფის, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციების პოპულარიზაცია უდევს საფუძვლად. საქართველოს ისტორიასა და დღევანდელობას უცხოეთში, დასამალი რაა, ცალმხრივად იცნობენ და ასეთი პროპაგანდა ხელს შეუწყობს ჩვენი ეროვნული შესაძლებლობების ყოველმხრივ გამოვლენას.

დედოფლის დღესასწაულზე

ჰოლანდია თავისი დედოფლის დაბადების დღეს ღირსეულად აღნიშნავს. საყოველთაო-სახალხო ზეიმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და მათ შორის სპორტსაც მოიცავს. ოღონდ, დღესასწაულის სპორტულ პროგრამაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ცხენოსნობას ენიჭება. აქამდე საცხენოსნო ფესტივალში მხოლოდ ადგილობრივი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, წლეულს კი ზეიმზე, გამონაკლისის სახით, ქართველი მხედრებიც არიან მიპატიჟებულნი. დედოფლის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საცხენოსნო ფესტივალი უნდა გაიმართოს 28-30 აპრილს ქალაქ ოლდენზაალში. რატომ ასეთი დიდი ყურადღება და პატივი ქართველ ცხენოსნებს?

თბილისი — პარიზი — ოლდენზაალი

იქნებ უცნაურიც კია, მაგრამ ჰოლანდიასთან დამაკავშირებელი ხიდი მიზეზთა და მიზეზთა გამო პარიზზე გადის. ამ ხიდის ერთ თავშია თბილისის საწარმოო დანერგვითი ცენტრი „იბერია-89“, მეორეში კი ფრანგული ფირმა „არის-ნინო“.

თბილისის ცენტრი, მისი ხელმძღვანელის თენგიზ გოგიას განმარტებით მრავალპროფილიანი ორგანიზაციაა: წარმოებაში ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს, ასრულებს სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოებს, ხელს უწყობს საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას, სპორტული ცხენოსნობისა და საერთოდ მეცხენეობის პოპულარიზაციას საქართველოში.

ფრანგული „არის-ნინოც“ საკმაოდ სოლიდური ორგანიზაციაა. ფირმას პარიზში განაგებს ჩვენი თანამემამულე შალვა თაყაიშვილი. იგი ამავე დროს, კალისტრატე სალიას ფონდის პრეზიდენტი ბრძანდება (ფონდის დამფუძნებელი გახლავთ განსვენებული კალისტრატე სალიას მეუღლე ქალბატონი ნინო). ამ ორი, ქართული და ფრანგული ორგანიზაციის ურთიერთობის საფუძველზე იქმნება ერთობლივი საწარმო „არის-იბერია“, რომელიც სულ მალე ოფიციალურ რეგისტრაციას გაივლის და მის ფუნქციებში გადავა ყველაფერი, რაც ცხენოსნობასთან იქნება დაკავშირებული.

იხ. მე-2 გვ.

პარიზის გავლით ჰოლანდიაში

(დასასრული)

იდეა დაბადა

ახლა მეტი სიცხადისათვის თხრობაში კიდევ ორი პერსონაჟი უნდა ჩავრთოთ. ერთი მათგანია ჰოლანდიელი იმპრესარიო იან პეპინგი, მეორე — ახალგაზრდა თბილისელი ბიოლოგი დათო მეშველიანი, გერმანული ენის კარგი მცოდნე, რომელიც შარშან თარჯიმნად ახლდა გასტროლებზე მყოფ ჩვენს პანტომიმების თეატრს.

პეპინგი საქართველოში ნამყოფია, იცნობს ჩვენს ხელოვნებას, კულტურას, განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტი აქვს ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებთან. პეპინგმა აცნობა დათო მეშველიანს, რომ დედოფლის დაბადების დღესთან დაკავშირებული ზეიმის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ ჰოლანდიაში საბჭოთა ცხენოსნების მიწვევა. აი მაშინ შესთავაზა დათომ ფესტივალზე ქართველ მხედართა მიპატიჟება. ეს იდეა ჰოლანდიელმა იმპრესარიომ გააცნო თავის კოლეგებს და სრული მხარდაჭერაც მიიღო.

პრაქტიკული ნაბიჯები

იან პეპინგი მორიგი ვოიაჟით ეწვია საქართველოს „მართვეს“ ანსამბლთან მოლაპარაკების მიზნით. მას ნიადაგის მოსასინჯად ჩამოყვანენ ჰოლანდიის საცხენოსნო კლუბის წარმომადგენლები. აქ გაიცნეს ერთმანეთი „იბერია-89“-ისა და ჰოლანდიის კლუბის წარმომადგენლებმა. ნაცნობობა რომ უფრო საფუძვლიანი ყოფილიყო, სტუმრები სენაკში ჩაიყვანეს და აჩვენეს საცხენოსნო სპორტის ეროვნული სახეობები (ცხენბურთი, ისინდი). შთაბეჭდილება მართლაც წარუშლელი იყო. ამას დაერთო საქართველოს კინოსტუდიის კასკადიორთა ჯგუფის გამოსვლებით გამოწვეული აღტაცება და გადაწყვეტილებაც მიღებულ იქნა: დედოფლის დაბადების დღესასწაულზე მიიწვიეს საქართველოს დელეგაცია, რომელმაც ჰოლანდიელებს მხედართა სიჩაუქის გარდა უნდა გააცნოს ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა ოსტატობა. ერთი სიტყვით, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს თავისებურ სპორტულ-კულტურულ დეკადას ჰოლანდიაში.

ამ ღონისძიებასთან დაკავშირებულ დეტალებში თბილისის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ გოგიამ კერძო საუბრის დროს გაგვარკვია:

● ასეთი სერიოზული და მრავალპლანიანი საქმე ერთი შეხედვით, ალბათ, არ წყდება. ხაინტერესოა როგორ განვითარდა შემდგომ მოვლენები?

— საცხენოსნო კლუბის წევრებთან მოლაპარაკების შემდეგ საჭირო გახდა ჰოლანდიაში ჩასვლა და იქ ფინანსური დეტალების დაზუსტება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყავით ოლდენზაალში და იქ გადავწყვიტეთ ყველაფერი, რაც საქართველოს დელეგაციის სტუმრობასთან არის დაკავშირებული.

● როგორია ბატონ შალვა თაყაიშვილისა და მთლიანად კალისტრატე სალიას ფონდის წვლილი ამ საქმეში?

— ეს ღონისძიება თუ წარმატებით დაგვირგვინდა, რაც ახლა არავის აეჭვებს, მთლიანად ბატონი შალვას დამსახურება იქნება და აი რატომ, ჩვენს სტუმრობასთან დაკავშირებულ სავალუტო ხარჯებს მთლიანად კალისტრატე სალიას ფონდი იღებს თავის თავზე, ეს კი მიახლოვებული ანგარიშით 100 ათას დოლარს შეადგენს.

● ფონდს ამ საქმიდან, ალბათ, გარკვეული მოგებაც ექნება?

— საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ საფრანგეთის მხარე, ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ოპერაციაში“ კაპიკს არ იგებს. ფონდი შეგნებულად მიდის ამაზე, რათა ქართულ კულტურას შესაფერი პროპაგანდა და პოპულარიზაცია გაუწიოს. მეტსაც გეტყვით, ბატონი შალვა თანახმაა, რომ საბჭოთა მანეთების ხარჯიც ფონდმა გაიღოს.

● ამ სახარგებლო საქმის კეთილად დასრულების მიზნით ალბათ სპონსორებიც უნდა მოიძებნოს?

— ჩვენს სპონსორებთან, რომლებიც საბჭოთა მანეთებით გაგვიწევენ დახმარებას, წინასწარი შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეული გვაქვს. ბატონმა შალვამ კი, თავის მხრივ, ნახა სპონსორები საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. გარდა ამისა, თვითონაც გამოდის სპონსორის როლში და დამატებით 100 ათას ფრანკს გაიღებს.

● ჰოლანდიას, ალბათ, დიდი დელეგაცია ეგზავნება, ვინაიდან სპორტის გარდა იქ სხვა დარგების წარმომადგენლებიც გამოვლენ?

— ვვარაუდობთ ასორმოცდაათამდე კაცის გამგზავრებას. აქ ცხენოსანთა გარდა იქნებიან ქართული ცეკვისა და სიმღერის ოსტატები, გვინდა ჩვენი სამზარეულოც სრულად წარმოვადგინოთ. ერთი სიტყვით, ქართულმა დღეებმა ჰოლანდიაში უნდა წარმოადგინოს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი და თვითმყოფი კულტურა. მით უფრო, რომ მასპინძლებს ჩვენი გამოსვლები ნავარაუდევი აქვთ კუნძულ ტექსელზეც.

● წმინდა სპორტული ხანახაობა როგორ გეხახებათ?

— ცხენოსანთა ჯგუფი ალბათ ორმოცდახუთი მხედრით იქნება წარმოდგენილი, თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ თბილისის, ჩოხატაურის, სენაკის, გაგრის ცხენოსნები, კასკადიორთა ჯგუფი, დიდი სურვილი გვაქვს წავიყვანოთ ნანა მელქაძის მოჯირითე გოგონათა საცირკო ჯგუფიც.

● რამეში თუ გეჭირდებათ დახმარება?

— სპონსორებზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ კარგი იქნება თუ ჩვენს მოწოდებას კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია გამოეხმაურება. ეკონომიკური მხარდაჭერა ასეთ შემთხვევაში წარმატების მთავარი გარანტია გახლავთ. გვინდა თან წავიღოთ ქართული საცხენოსნო სპორტის ტრადიციების ამსახველი ბუკლეტები, რაც შეიძლება მეტი კინო და ფოტომასალა ჩვენს ქვეყანაზე, ერზე, ქალაქებზე, კულტურაზე. ამ საკითხში დაინტერესებულ ორგანიზაციათა ყოველმხრივ თანადგომას ველით.

ნოდარ გუგუშვილი.

ქართველი მხედარი (ვახტანგ გურიელი. XVII საუკუნის იტალიელი მხატვრის კახტელის ნახატი).

დასამალი რა არის...

რატომ დაიკარგა რუბრიკა

„ლელოში“ ხშირად მოდის შეკითხვები, გვირეკავენ და ზოგჯერ სერიოზული პრეტენზიებით რედაქციაშიც გვაკითხავენ სპორტის გულშემატკივრები. მიზეზი ისაა, რომ ჩვენს გაზეთში გაქრა რუბრიკა „თბილისის სპორტულ ბაზებზე“, რომელიც მკითხველს აუწყებდა, სად, როდის და რა სპორტულ სანახაობაზე შეიძლებოდა დასწრება. განაწყენებულ გულშემატკივრებს ჰგონიათ, რომ ეს ან რედაქციის ახირებაა, ან ამ გადაწყვეტილებას რაღაც მოსაზრება უდევს საფუძვლად. მაგალითად, გვისახელებენ გაზეთ „სოვეტსკი სპორტს“, რომელიც სისტემატურად ბეჭდავს ცნობებს მოსკოვში ჩასატარებელი შეჯიბრებების შესახებ.

დასამალი არაფერია, მკითხველებმა უნდა იცოდნენ სიმართლე. ჯერ ის ვთქვათ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ შემოღებული ახალი წესით ყველა გაზეთში, მათ შორის „ლელოში“, აიკრძალა განცხადებების უფასოდ გამოქვეყნება. ამიტომ გაზეთში მხოლოდ ის განცხადება იბეჭდება, რომელშიც ესა თუ ის დაინტერესებული ორგანიზაცია განსაზღვრულ საფასურს გადაიხდის. რედაქციის მუშაკთა ხელფასზე ამგვარი წესი არავითარ რეალურ გავლენას არ ახდენს. ეს თანხა, ისევე, როგორც გაზეთის სხვა შემოსავალი, გარდა იმ ფულისა, რაც გაწეული ხარჯების ანაზღაურებისას ხმარდება, ბიუჯეტში მიდის.

ახლა, რაც შეეხება „სოვეტსკი სპორტს“. ამ გაზეთის შემოსავალი, „ლელოსგან“ განსხვავებით, ბიუჯეტში არ მიდის, რედაქცია ფინანსურ საკითხებს ისე აგვარებს, როგორც ამას საქმე და სპორტის საერთო ინტერესები მოითხოვს.

სხვათა შორის, ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენგან განსხვავებით, „სოვეტსკი სპორტი“ იმითაც არის დაინტერესებული რომ, მისი ტირაჟი რაც შეიძლება დიდი იყოს.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია

შენობას თუ მყარი საძირკველი არ ჩაეყარა, მაშინ მის აშენებას აზრი არა აქვს. მძლეოსნობაშიც, ვფიქრობთ, ყველაზე სწორი გზა ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესებაა, მით უმეტეს, რომ საქართველოში მძლეოსნობის რეზერვებთან მუშაობა, მართლაც გასაუმჯობესებელია.

თუ გადავხედავთ ახლახან დამთავრებულ საქართველოს მოსწავლეთა (1973-74 წ. წ. დაბ.) რესპუბლიკურ პირად-გუნდური ღია პირველობის შედეგებს, დავინახავთ, რომ გამარჯვებულთა და პრიზიორთა რიცხვში „მართვეს“ წარმომადგენლები აშკარად ჭარბობენ. თვით შეჯიბრებამ, სადაც ქართველ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ მოლდავეთისა და ბელორუსიის ნაკრები გუნდების წევრები, არ დატოვა ურიგო შთაბეჭდილება. აი რა გვითხრა პირველობის დამთავრების შემდეგ სპორტსახკომის მძლეოსნობის გაერთიანების უფროსმა მწვრთნელმა **ზერო ჯარაშნელმა.**

— შეჯიბრება ჩატარდა მაღალ დონეზე, როგორც ორგანიზაციული, ასევე მსაჯობის თვალსაზრისით. თანაც ახლა უფრო მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები, ვიდრე იანვარში ჩატარებულ მოსწავლეთა შეჯიბრებაზე. თორმეტმა სპორტსმენმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი, 83 სპორტსმენმა — მეორე თანრიგის (სტუმრები კონკურსგარეშე ასპარეზობდნენ). პირადი შედეგები გაუმჯობესეს: 110 მ თარჯრბენში კახა ფუტკარაძემ (ქარელი, მწვრთნელი გურამ ლურსმანაშვილი) — 14,9, 100-მეტრიან დისტანციაზე ზათუმელმა რუსლან მამულოვმა (მწვრთნელი კარლო თორგაძე) — 10,9. მანვე კარგად ისპარეზა ორჯერ უფრო გრძელ მანძილზე, სადაც 23,1 აჩვენა, თბილისელი კონსტანტინე გიგაშვილი (მწვრთნელი რობერტ აგაჯანოვი) მას 0,1 წამით ჩამორჩა.

გოგოებიდან აღსანიშნავია სამტრედიელი მაკა იანტბელიძე (მწვრთნელი თამაზ გოგიბერიძე), რომელმაც 100 მეტრი 12,3 წამში გაირბინა, ხოლო 200 მეტრი — 26,1 წამში. ასევე კარგად ისპარეზა ქარელელმა ეკა ბოჭორიშვილმა (მწვრთნელი გურამ ლურსმანაშვილი) 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე, სადაც შესაბამისად აჩვენა 12,5 და 26,5, აგრეთვე სხვა რამდენიმე გოგონამ.

როგორც ვხედავთ, ურიგო მაჩვენებლები არ არის, მაგრამ ზოგ სახეობაში სპორტსმენებმა საკმაოდ დაბალი შედეგები აჩვენეს. ასე რომ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. კარგი იქნება თუ განათლების სამინისტროს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „მართვეს“ გუნდს მეტ კონკურენციას გაუწევს სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.

წელს, ზაფხულში, ჩვენს სპორტსმენებს ელით საკმაოდ მნიშვნელოვანი რანგის ასპარეზობა — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. იქ მაღალი მიზნების მიაღწევად, როგორც ხედავთ, ჯერ დიდი შრომაა საჭირო.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

ჭიდაობა. 100 მ. რუსლან მამულოვი („მართვე“) — 11,0; **200 მ.** სერგო ერმოლოვი („შევარდენი“) — 23,0; **400 მ.** კონსტანტინე სკორიკი („მართვე“) — 52,02; **800 მ.** ზურაბ ჯაჭვლიანი — 2. 03, 7; **1500 მ.** ჯაჭვლიანი— 4. 18. 0; **800 მ.** ანდრეი ნაუმოვი — 9. 12, 7.

2000 მ. წინაღობებით. ნაუმოვი — 6. 17, 1. **110 მ თარჯრბენი.** კახა ფუტკარაძე —14,9.

ხიარული, 5 კმ. ანდრო დარახველიძე — 23, 20, 6.

ხიგრძეზე ხტომა. ფუტკარაძე — 6,64 მ; **სიმაღლეზე ხტომა.** ალექსი ბედოიძე (ყველა — „მართვე“) — 190 სმ; **ხამხტომი.** სპარტაკ შეარაყიშვილი („შევარდენი“) — 14,45 მ, **ჭოკ.** გრიგორი რაზუვაევი („შევარდენი“) — 4,00 მ.

ურო. ნიკოლოზ ოტიშვილი — 34,60 მ; **შუბი.** ალექსანდრე ცხოვრებაშვილი — 55, 84, მ. **ბადრო.** ვიგა ბლუაშვილი — 45, 06 მ. **ბირთვი.** როლანდ მემარნე („მართვე“) — 14, 39 მ.

გოგონები. 100 მ. მაკა იანტბელიძე — 12,3; **200 მ.** იანტბელიძე — 26, 1; **400 მ.** მარინა პაპატურიდი — 59,9; **800 მ.** ეკა თევზაძე — 2.21,3; **1500 მ.** თევზაძე — 4. 59, 2; **100 მ თარჯრბენი.** სვეტლანა ევდოკიმოვა — 15,1.

ხიარული, 3 კმ. — თეა ყარყარაშვილი (ყველა — „მართვე“) 15. 55, 8.

სიმაღლეზე ხტომა. ნატალია ვერშინინა — 160 სმ; **სიგრძეზე ხტომა.** მარინა მუსაევა („ორივე— „შევარდენი“) — 5, 40 მ.

შუბი. მაკა თიგიშვილი („მართვე“) — 39, 18 მ; **ბადრო.** დარეჯან გრიგალაშვილი — 35, 52 მ. **ბირთვი.** ლაურა ოჩხიკიძე — 12, 33.

ბია ბურდული.

ციტატა

„ლელოს“ მკითხველებმა უკვე შეიტყვეს სასიხარულო ცნობა იმის თაობაზე, რომ ზამთრის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გახდა ჩვენი თანამემამულე კახაბერ წაქაძე. სასიამოვნოა ისიც, რომ ამ ფაქტს საკმაოდ თბილად გამოეხმაურა გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ 27 თებერვლის ნომერში.

გთავაზობთ ციტატას გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ე. ლიპოვეცკის წერილიდან „რა ძნელია გენერლობა“.

„შორი ნახტომებით იმ დღეს ბევრმა გაგვახარა. ნახტომების ხერხია ახ მეტრზე უფრო შორს ყოველთვის შთამბეჭდავია. ახეთი ნახტომები ზედიზედ შეასრულეს ს. ჩუმაკმა, დ. ვოდნევმა, ა. შაპოშნიკოვმა, ა. ტარანოვმა, ს. ბრიზგალოვმა, რ. გალიევმა, ი. დუდარევმა. მაგრამ მათ ფონზეც კი გამოირჩეოდა წაქაძის მეორე ცდა, რომელმაც ფრენის დამამთავრებელ ფაზაში მაერში, თითქოს, ხაურდენი წერტილი იპოვა. „ახეთი ნახტომები შთაგონებას ბადებს, — აღელვებული ლაპარაკობდა ჩემპიონის მამა, ცნობილი კობა წაქაძე. — მე, როგორც მწვრთნელი, დიდი ხანია ვოცნებობდი მხგავს სანახაობაზე. შვილმა ნამდვილად გამახარა. 28 წლის შემდეგ ჩვენს ოჯახში კვლავ გამოჩნდა სპარტაკიადის ჩემპიონი“.

— მე ვიცოდი, რომ დღეს ჩემი დღე იყო, — თქვა უმცროსმა წაქაძემ. — პოროხკოში წავიკითხე, რომ 25-ში წარმატება მელოდა. სხვათა შორის, იქვე ეწერა, რომ 22-ში და 23-ში ჩემთვის წარუმატებელი დღეები იქნებოდა. სწორედ ამიტომ „ჩამიფლავდა“ ნახტომები 70-მეტრიან ტრამპლინზე. მოდი და ამის მერე ნუ ირწმუნებ ბედს. საერთოდ კი, ყველაზე უფრო ბედნიერი იმიტომ ვარ, რომ გავახარე მამა და ჩემი კიდევ ერთი აღმზრდელი, მსოფლიო ჩემპიონი გარი ნაპალკოვი.

როდესაც პოროხკოპი ხელს გაწყობს განწყობილების შექმნაში, ეს რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ წარმატებას თავად სპორტსმენი სჭედს. იმ სიტუაციაში, როდესაც მედლებისათვის ერთდროულად შვიდ-რვა სპორტსმენი იბრძოდა, წაქაძე ვერ „წაახდინა“ შედარებით ხუსტმა პირველმა ნახტომმა. მან შეძლო მობილიზება და სიჩუქარეც გაუკეთა საკუთარ თავს“.

Советский спорт
ОРГАН ГОСКОМИТЕТА СССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И ВЦСПС
ИЗДАЕТСЯ С

ზვედური შემთხვევა ოკეანეში

მსოფლიოს გარშემო იალქნიანი ნავებით რბოლის („უიტბრედი“) მეოთხე ეტაპზე მოხდა „საგანგებო შემთხვევა“. გადაბრუნდა და ჩაიძირა ფინური ნავი „მარტელა“, რომელიც მეხუთე ადგილზე მიდიოდა. ვინაიდან უბედური შემთხვევა მოხდა დღისით და შედარებით თბილ წყლებში, ეკიპაჟის ყველა წევრი გადარჩა. ისინი შვეიცარიის „მერიტმა“ და ფრანგულმა „შარლ ჟურდენმა“ შეიკედლეს.

„ფაზისს“ ამ ეტაპზე ძირითადი ანძა დაუზიანდა და ამის გამო მეთორმეტე ადგილზე გადაინაცვლა. რბოლის მონაწილენი სულ მალე დაასრულებენ მეოთხე ეტაპს ურუგვაის საზღვაო პორტ პუნტა-დელ-ესტეში.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დაწყებამდე ერთი დღეა დარჩა, 1 მარტს დაგეგმილია პირველი შეხვედრები. ახლა უკვე დამთავრებული უნდა იყოს უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადების რეგისტრაცია, მაგრამ, ეტყობა, აქ ჯერ კიდევ ხეირიანად არავინ იცის, როგორ წარიმართება საქმეები.

„სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ სადღეისოდ დამტკიცებულია უმაღლესი ლიგის მხოლოდ 13 გუნდის განაცხადები. როგორც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ა. პარამონოვმა განაცხადა, მოსკოვში მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის რეზოლუცია, სადაც საგანგებოდ გამოყოფილია ორი პუნქტი: ყრილობის დადგენილებით 1990 წლის სეზონიდან საქართველოს გუნდები მონაწილეობას არ მიიღებენ არც საკავშირო ჩემპიონატში, არც სსრ კავშირის თასის გათამაშებაში და არც სხვა ოფიციალურ შეჯიბრებებში, რომლებიც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით მიმდინარეობს. **წლევანდელი სეზონიდან დაწყებული, საქართველოს ყველა გუნდი მონაწილეობას მიიღებს თავისი რესპუბლიკის ჩემპიონატში, თასის გათამაშებასა და სხვა შეჯიბრებაში.**

ა. პარამონოვმა განაცხადა, რომ ლანჩხუთის „გურიამ“ გუნდის მთავარი მწვრთნელის მ. ფომენკოსა და კლუბის პრეზიდენტის ე. წოლოსანის ხელმოწერით ითხოვეს „გურიის“ საგანაცხადო საბუთების გაფორმების გადატანა 28 თებერვლისთვის.

ვილნიუსის „ჟალგირისი“ მოგვიანებით დაბრუნდა უცხოეთიდან და მწვრთნელებმა მოითხოვეს ამ გუნდის განაცხადები განეხილათ 27 თებერვალს.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ კომისია განაგრძობს განაცხადებზე მუშაობას. ერევნის „არარატში“, ხარკოვის „მეტალისტში“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოში“ მოწვეული ფეხბურთელები წამყვან კლუბებში არ თამაშობდნენ, ამიტომაც ამ გუნდების ახალწვეულთა მიმართ კომისიას პრეტენზიები არა აქვს. რაც შეეხება დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, კომისიის წევრებმა წინააღმდეგობა გამოთქვეს ამ გუნდში ფრუნზეს „ალგისა“ და ალმა-ათის „კაირატის“ ფეხბურთელების ვ. გუდიმენკოსა და ა. ჟიდკოვის გადასვლის თაობაზე. გარდა ამისა, ჯერ გადასაწყვეტია ს. ბეკენარის კიევის „დინამოდან“ დნეპროპეტროვსკში გადასვლის საკითხიც. „ალგა“ წინააღმდეგია გაუშვას 24 წლის ფორვარდი ვ. გუდიმენკო, ვინაიდან მასთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული, ხოლო ა. ჟიდკოვს უწინ განცხადება ჰქონდა დაწერილი სიმფეროპოლის „ტავრიაში“ გადასვლის თაობაზე, „ტავრიამ“ საკავშირო ფედერაციაში ა. ჟიდკოვთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ასლიც გამოგზავნა, თუმცა თვით ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ ამგვარ დოკუმენტზე მას ხელი არ მოუწერია. რაც შეეხება ს. ბეკენარს, მან არ[illegible]ული სამსახური მოიხადა კიევის „დინამოში“ და შინ დაბრუნების სრული უფლება აქვს. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელი ი. ნიკიფოროვი.

კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა ამ ფეხბურთელების გაშვებას არ აპირებს იმ საბაბით, რომ მათთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

-ყველა ამ საკითხს გაარკვევენ საკავშირო ფედერაციის იურიდიული და სადისციპლინო კომიტეტები.

რედაქციისაგან: გუშინ რედაქციას დაუკავშირდა ლანჩხუთის „გურიის“ კლუბის პრეზიდენტი გ. წოლოსანი. მან გვითხრა, რომ ლანჩხუთის „გურიამ“ საკავშირო ფედერაციაში განაცხადი გაგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილების მიღებამდე, მერე კი უარი განაცხადა სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და, ცხადია, აღარც ძველი საბუთების გაფორმების გადადება მოუთხოვია. რაც შეეხება გუნდის მთავარ მწვრთნელს მ. ფომენკოს, ლენინგორში საწვრთნელი შეკრების დამთავრების შემდეგ იგი ლანჩხუთში აღარ დაბრუნებულა და კიევს გაემგზავრა.



პირველი ოქროს მედალი ჩვენია

(დასასრული)

მოიჩინა თავი. მეტოქეობა ძირითადად საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრებს შორის მიმდინარეობს...

მძიმე წონის მოჭიდაველთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდება ქუთაისელი მწვრთნელის ომარ მერაბიშვილის ორი მოწაფე — აკაკი კიბორძალიძე და დავით ხახალეიშვილი. გამოცდილმა ოსტატმაც და მისმა ახალგაზრდა ნიჭიერმა თანაგუნდელმაც დამაჯერებლად ჩაატარეს წინასწარი შეხვედრები. კიბორძალიძემ ოთხივე ორთაბრძოლა წმინდად მოიგო, ზედიზედ დაამარცხა თურქი ჰიუსნიუ ტამდელენი, თანაგუნდელი შალვა ბექაური, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები იგორ პეშკოვი და იური შეეროვიჩი. ახლა წყდება ევროპის ჩემპიონატის საგზურების ბედი მძიმე წონაში და აკაკი კიბორძალიძეს, ეტყობა, მოსამზადებელ პერიოდში დრო ტყუილად არ დაუკარგავს.

დავით ხახალეიშვილისა და კორეელი ხვანგ ჯო გილის შეხვედრა მართლაც დავითისა და გოლიათის ბრძოლას ჰგავდა. კორეელს მართლაც ბუმბერაზის გარეგნობა აქვს. მაგრამ ქუთაისელმა მოჭიდავემ იმდენი უტრიალა მეტოქეს, მაინც მოახერხა მისი დამარცხება — 7:0.

ხახალეიშვილმა მომდევნო შეხვედრაში თანაგუნდელ ნიკოლოზ წაქაძეს მოუგო, შემდეგ კი შეუპოვარ ბრძოლაში სძლია მთავარ მეტოქეს, ცნობილ უკრაინელ ძიუდოისტს გენადი ერიომენკოს და ფინალში გავიდა.

მძიმე წონაში შეჯიბრება კარგად დაიწყო ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა, ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ, მაგრამ შემდეგ ჰანტეით (მსაჯთა გადაწყვეტილებით) დამარცხდა ერიომენკოსთან. ისიც და შალვა ბექაურიც უკვე მესამე ადგილისთვის გააგრძელებენ ასპარეზობას.

ქვემძიმე წონაშიც (95 კგ) ფინალში კინაღამ ქართველი სპორტსმენები გავიდნენ, მაგრამ მარნეულელი ლერი ჟორჟოლიანი შეხვედრის ბოლო წამებზე დამარცხდა ანდრეი პოპოვთან. ფინალში პოპოვი გავიდა. მანამდე ლერიმ სამი გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის, ერთ შეხვედრაში მეტად ეფექტური ილეთით ცქლია ფრანგ სტეფან ტრენოს.

მეორე ქვეჯგუფში ახალგაზრდა ქართველმა ფალავნებმა ყველას შავი დღე აუარეს. აკაკი კიბორძალიძის უმცროსმა ძმამ ვალერიმ ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან ვლადიმერ ჩეპჩენკო, სერგეი პოპოვი და თვით ცნობილი მოჭიდავე ევგენი დოლინინი.

ძლიერ მეტოქეებს სძლია ხაშურელმა ვეფხია კაპანაძემაც, დამარცხებულთა შორის იყო ევგენი პეჩუროვი, რომელსაც ძიუდოს მოყვარულები კარგად იცნობენ. ორი ახალგაზრდა ფალავნის შეხვედრამ დასახელა მეორე ფინალისტი: კაპანაძემ მოუგო კიბორძალიძეს და ფინალში გავიდა. კიბორძალიძე და ჟორჟოლიანი მესამე ადგილისთვის იჭიდავებენ.

გუშინდელ შეხვედრებში ჯერჯერობით ყველაზე სწრაფი გამარჯვება მოიპოვა იგორ პეშკოვმა, რომელმაც 13 წამში დაამარცხა ვლადიმერ კრავჩუკი.

თბილისის XXI საერთაშორისო ტურნირის სიახლე ის არის, რომ მსაჯთა შორის ორი ქალიც ვიხილეთ. ესენი არიან თურქი ჯანჯა ნურდანი და კორეელი იო ვან პაკი.

● **არ გაგიკვირდათ ძიუდოს მსაჯის ლიცენზიის მიღება?** — ვკითხეთ ჯანჯა ნურდანს.

ჯანჯა ნურდანი

— ძალიან გამიკვირდა. ასეთი ლიცენზიის მიღება დიდი კონკურენციის გამო თვით მამაკაცებისთვისაც ძნელია, ქალებისთვის კი — მით უმეტეს. მაგრამ ძალიან მიყვარს ძიუდო და 1983 წელს ერთ ფრანგ ქალთან ერთად მაინც მოვახერხე საერთაშორისო არბიტრის მოწმობის მიღება.

● **თურქეთი აღმოსავლეთის ქვეყანაა. როგორ უყურებს თქვენი მეუღლე იმას, რომ მამაკაცთა ტურნირებზე მსაჯობთ?**

— ძალიან მოსწონს ეს ამბავი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არავითარი პრობლემა არა გვაქვს. ჩემი მეუღლეც მსაჯია.



ილეთს ატარებს ანზორ თენაძე.



ლერი ჟორჟოლიანმა ეფექტური ილეთით დაამარცხა სტეფან ტრენო. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საწვრთნელი მატჩი

ალახაძის სპორტულ ბაზაზე სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მორიგი საწვრთნელი მატჩი გამართეს. მათი მეტოქე უმაღლესი ლიგის ბინადარი მოსკოვის „დინამო“ იყო. შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით —. 2:0 დამთავრდა. მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს კობელევმა და ნოვგოროდოვმა. სოხუმელებმა ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. ამ დღეს მასპინძელთა ღირსებას იცავდნენ: ბენიძე (ჟორჟოლიანი), ბოსტანჯიანი, ჩეკუნოვი, ფარულავა (თარბა), მალანია, ინალიშვილი (გუბაზი), ბონდარუკი, ახვლედიანი (ენიკი), გოგრიჭიანი (არუთუნიანი), ჩალიგავა, ხაგბა. მორიგ საწვრთნელ მატჩს სოხუმელები ხარკოვის „მეტალისტთან“ გამართავენ.

თენგიზ პაპკორია.

სოხუმი.

ზოოტექნიკოსებს ემზადებიან

ახალი საფეხბურთო სეზონისათვის ემზადება თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი. ამ კოლექტივის წარმომადგენლებს არაერთხელ უსახელებიათ თავი რესპუბლიკურ თუ საკავშირო პირველობებში. სასწავლებლის ფეხბურთელების დიდი ნაწილი საქართველოს მოწინავე გუნდების შემადგენლობაში გამოდის. წლევანდელი საფეხბურთო სეზონისათვის მზადების ციკლი ინსტიტუტის ფეხბურთელებმა ლესელიძეში გაიარეს, სადაც რამდენიმე საწვრთნელი მატჩი გამართეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გუნდთან.

მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ნიკოპოლის „კოლოსი“, ასევე სძლიეს ტირასპოლის „ტექსტილშჩიკს“ — 2:1, დაამარცხეს უსტ-კამენოგორსკის გუნდი — 1:0, ფრედ — 1:1 ითამაშეს თბილისის „დინამოს“ დუბლიორებთან, ასევე ფრედ — 0:0 დაამთავრეს შეხვედრა ლანჩხუთის „გურიის“ დუბლშემადგენლობასთან, 1:3 დამარცხდნენ ხარკოვის „მეტალისტთან“, თბილისის „დინამოსთან“ — 0:6 და „გურიის“ ძირითად შემადგენლობებთან — 0:2.

წელს ზოოტექნიკოსებს საპასუხისმგებლო შეხვედრები ელით. ისინი მონაწილეობას მიიღებენ მინიფეხბურთელთა ასპარეზობაში, რესპუბლიკურ უნივერსიადაში, მარტიდან კი გუნდი იასპარეზებს თბილისის ჩემპიონატში, რომლის გამარჯვებულს წოდებას ფლობს ზედიზედ მრავალი წლის განმავლობაში.

ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი

პორტუგალიის ქალაქ ვილა-რეალ-დი-სანტ-ანტონიოში მიმდინარეობს ჭაბუკ ფეხბურთელთა (16 წლამდე) საერთაშორისო ტურნირი.

გათამაშების მეორე ტურში სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ასევე ფრედ ითამაშეს პორტუგალიისა და ისრაელის ფეხბურთელებმა — 1:1.

გაიმარჯვა 140 ვაჟთან პაექრობაში

მეკლდეურობა

ჭაბუკმა ზაზა გურჩიანმა შარშან მეკლდეურ თანატოლთა ყველა საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა. მან თავი გამოიჩინა მიხეილ ხერგიანის საკავშირო მემორიალშიც, რაც მისთვის პირველი წარმატება იყო უფროსთა ასპარეზობაში.

და აი, სასიხარულო ზნობა მივიღეთ კისლოვოდსკიდან, სადაც გმირი მედიკოსების საკავშირო თასის გათამაშება ჩატარდა. ამგვარი ასპარეზობა მეოთხედ გაიმართა და იგი მონაწილეთა მხრივ სარეკორდო აღმოჩნდა — შეჯიბრებაში 140 ვაჟი და 70 ქალი ჩაება. ისინი 24 გუნდის წარმომადგენლები იყვნენ.

ასპარეზობაში ზაზა გურჩიანმა (იგი საქართველოს განათლების სამინისტროს მოზარდ მთამსვლელთა სპორტსკოლის აღსაზრდელია) ყველას აჯობა ინდივიდუალურ გარბენში, ეგრეთ წოდებულ სუპერტრასებზე კი I-IV ადგილები გაიყო.

აღსანიშნავია, რომ სუპერტრასების გავლა სულ ოთხმა კაცმა შეძლო.

საბოლოოდ, აბსოლუტურ პირველობაში ზაზა გურჩიანმა III ადგილი დაიკავა.

უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ერთი ქალი იყო, რამაც საერთო გუნდური პირველობის შედეგებზე მოახდინა გავლენა — საქართველოს წარმომადგენლებმა VIII ადგილი დაიკავეს.



რიგელთა ოთხი ქულა

რიგა. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ადგილობრივმა ვეფ-მა დონეცკის „შახტიორს“ უმასპინძლა. პირველ დღეს რიგელთა უპირატესობა 31 ქულით განისაზღვრა 103:72 (48:36). განმეორებით შეხვედრაში დონეცკელმა კალათბურთელებმა უფრო სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 84:97 (41:50).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 თებერვლისთვის

ცსკა	33	29	4	62
ვეფ (რიგა)	36	21	15	57
„დინამო“ (მ.)	32	24	8	56
„ბუდიველ.“ (კ.)	34	21	13	55
„კალევი“ (ტალ.)	33	20	13	53
„სპარტ.“ (ლენ.)	34	15	19	49
„უალგ.“ (კაუნ.)	33	15	18	48
ასკ (ალმა-ათა)	29	17	12	46
რტი (მინსკი)	34	12	22	46
„დინ.“ (თბილისი)	32	11	21	43
„შახტ.“ (დონ.)	34	9	25	43
„სტატ.“ (ვილნ.)	34	5	29	39

კალათბურთის „ყველა ვარსკვლავი“

ასეთ ტურნირს აშშ-ის კალათბურთის ეროვნული ლიგა ყოველწლიურად ატარებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრებ გუნდებს შორის. კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ გადაწყვიტა ანალოგიური ტურნირი მოაწყოს ჩვენშიც, მას შემდეგ, რაც დამთავრდება ქვეყნის ჩემპიონატი (მიახლოებით აპრილში).

ნბა-ს მსგავსად, ჩვენშიც ერთმანეთს შეეჯიბრებიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრები გუნდები. ამ მიზნით საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე თორმეტი გუნდი ორ რეგიონად დაიყო. „აღმოსავლეთში“ მოხვდნენ: ცსკა, „დინამო“ (მოსკოვი), ასკ (ალმა-ათა), „ბუდიველნიკი“ (კიევი), „შახტიორი“ (დონეცკი) და „დინამო“ (თბილისი), „დასავლეთში“ — „უალგირისი“ (კაუნასი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), ვეფ (რიგა), „კალევი“ (ტალინი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) და რტი (მინსკი). აღმოსავლეთის ნაკრების მწვრთნელებად დანიშნული არიან სერგეი ბელოვი და ალექსანდრე სიდიაკინი, დასავლეთის მწვრთნელებად — ვლადიმერ კონდრაშინი და იაკ სალუმეტსი.

ნბა-ში როგორც ცნობილია, სასტარტო ხუთეულებს მაყურებლები ასახელებენ. ანალოგიური პრინციპით ჩატარდება მოთამაშეთა შერჩევა ჩვენთანაც იმ სიიდან, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. ყოველი ნაკრების კანდიდატთა სიაში დასახელებულია 5 ცენტრალური თავდამსხმელი, 10 ფორვარდი და ამდენივე მცველი. თუ როგორ უნდა მოხდეს კანდიდატების შერჩევა და მათი სიების საკონკურსოდ გაგზავნა მოსკოვში დაწვრილებით არის აღწერილი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 24 თებერვლის ნომერში. იქვე არის მითითებული მისამართი, სადაც უნდა გაიგზავნოს მაყურებლების არჩევანი.

ახლა კი გთავაზობთ კანდიდატთა გვარებს:

„აღმოსავლეთი“

ფორვარდები. ვ. ბერეჟნოი, ა. ლოპატოვი, ს. პოპოვი, ს. ტარაკანოვი (ყველა — ცსკა), ი. ჟუკანენკო, ვ. ტიხონენკო (ორივე — ასკ, ალმა-ათა) ე. გადაშევი („დინამო“, მოსკოვი), ა. ლუკიანეცი („შახტიორი“) ი. სილვესტროვი („ბუდიველნიკი“), ა. ტიუბინი („დინამო“ თბილისი).

მცველები. ე. მურზინი, ა. პოდკოვიროვი, ა. შაპტალა (სამივე— „ბუდიველნიკი“), ვ. გორინი, ა. გუსევი (ორივე — ცსკა), ს. ბაზარევიჩი, ვ. სიზოვი (ორივე — „დინამო“, მოსკოვი), გ. დარსაძე („დინამო“, თბილისი) ო. მელეშჩენკო (ასკ, ალმა-ათა), ა. პოლოვიანოვი („შახტიორი“).

ცენტრალური თავდამსხმელები. ს. გრიშაევი, ა. ოხოტნიკოვი, დ. სუხარევი (სამივე — „დინამო“, მოსკოვი), გ. რეზკოვი, ვ. ტკაჩენკო (ორივე — ცსკა)

„დასავლეთი“

ფორვარდები. რ. ბრაზდაუსკასი, ა. ვისოცკასი, გ. კრაპიკასი (სამივე — „უალგირისი“), ვ. ჟარკოვი, ე. კისურინი (ორივე — „სპარტაკი“), ვ. დაინეკო, ს. ჟელუდოკი (ორივე — რტი), ა. ბოხდარენკო (ვეფ), ა. ვაინაუსკასი („სტატიბა“), მ. მეტსტაკი („კალევი“).

მცველები. მ. ვალტერსი, ვ. ვეტრა, ი. მიგლინიეკსი, რ. მიგლინიეკსი, კ. მუიანიეკსი (ყველა — ვეფ), ა. კუუსმა, ტ. სოკი („კალევი“). ა. ბრაზისი („უალგირისი“), ი. გრიშჩუკი (რტი), ს. ივანოვი („სპარტაკი“).

ცენტრალური თავდამსხმელები. ს. ბაბენკო („კალევი“), გ. ბოჩკოვი (რტი), ვ. კოროლიოვი („სპარტაკი“), ი. მელნიკი (ვეფ), გ. ეინიკისი („უალგირისი“).



სან-ანტონიოს აღმავლობა

„სან-ანტონიო სპურსი“ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის გრანდების რიცხვს არ განეკუთვნება. იგი ნბა-ს შემადგენლობაში 1976 წლიდანაა და რაიმე დიდ წარმატებებს ვერ დაიკვეხნის. იგი არც ნბა-ს ჩემპიონი ყოფილა და არც ფინალისტი. მისთვის უფრო არასტაბილურობა იყო დამახასიათებელი და მას ხან ცხრილის ზემო ნაწილში ეხედავდით, უფრო ხშირად კი აუტსაიდერთა შორის იყო.

მიმომხილველთა უმრავლესობა ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ მოულოდნელობად ლიდერთა შორის „სან-ანტონიო სპურსის“ გამოჩენას მიიჩნევს. ეს გასაგებიცაა, სან-ანტონიო ხომ შარშან სატურნირო ცხრილის ფსკერზე იყო. მან მეტად მოკრძალებული შედეგი აჩვენა — 21 გამარჯვება, 61 დამარცხება და „პლეი-ოფის“ სერიის მიღმა დარჩა. ისმის კითხვა. რამ განაპირობა „სან-ანტონიო სპურსის“ აღმავლობა? ამის მიზეზად მიმომხილველები ერთხმად ასახელებენ შემადგენლობის საგრძნობ გაძლიერებას. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს გარიგება, რომელიც ჯერ კიდევ შარშანდელ შუა სეზონში შედგა. ვგულისხმობთ შეთანხმებას სან-ანტონიოსა და მილუოკს შორის, რომლის შედეგადაც „სან-ანტონიომ“ ელვინ რობერტსონი მილუოკის ტერი კამინგსში გაცვალა. ამ ნაბიჯის შორსმჭვრეტელობა სავსებით ცხადი შეიქნა წლევანდელი სეზონის სტარტზე. როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, საგრძნობლად მოუმატა თამაშს ნბა-ს ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დევიდ რობინსონმა, რომელიც ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატსა და სეულის ოლიმპიადაზე ამერიკელთა გუნდში გამოდიოდა. რობინსონმა კამინგსთან ერთად შეტევის საკმაოდ მძლავრი ტანდემი შექმნა, რომლის უნაგელყოფა მოწინააღმდეგეებს მრავალ თავსატეხს უჩენს. „სან-ანტონიო სპურსის“ კიდევ ერთი თვალსაჩინო შენაძენი იყო არიზონის უნივერსიტეტის თავდასხმის ლიდერი ელიოტი (203 სმ), რომელიც მონაწილეობდა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში და მსოფლიოს უნივერსიადაზე ზაგრებში 1987 წელს. „სან-ანტონიო სპურსი“ არის შუა დასავლეთის დივიზიონის ლიდერი (33 გამარჯვება, 11 დამარცხება, 75 პროცენტი).

ამდენად, „სან-ანტონიო სპურსის“ წარმატებას შემთხვევითს ვერ ვუწოდებთ და მას რეალური საფუძველი აქვს.

მერაბ კალანდაძე.

უცხოეთის რაგბის ამბები

ხუთი ერის პირველობის მესამე ტურში უელსისა და საფრანგეთის გუნდების მიერ განცდილ გამანადგურებელ მარცხს ამ ქვეყნების რაგბის „მამები“ სხვადასხვაგვარად შეხვდნენ. უელსელთა მწვრთნელ ჯონ რაიანს თამაშის დამთავრებისთანავე მოუხდა გადადგომა. საქმე ისაა, რომ იმ 14 თვის განმავლობაში, როცა რაიანი ხელმძღვანელობდა ნაკრებს, გუნდმა 9 შეხვედრიდან მხოლოდ 2 მოიგო. რაც შეეხება ფრანგების სახელმოხვეჭილ მწვრთნელ ჟაკ ფურუს, მას საფრანგეთის რაგბის ფერედაციის ღვაწლმოსილი პრეზიდენტი ალბერ ფერასი გამოექომაგა და 1991 წლის მსოფლიო თასის გათამაშების დამთავრებამდე ანდო გუნდი.

უელსელთა ბოლოდროინდელი წარუმატებლობანი შემთხვევითი როდია. დიდი ბრიტანეთის ამ კუთხეში ეკონომიკის დაღმავლობისა და ცხოვრების დონის გაუარესების გამო სულ უფრო მეტ უელსელ მორაგბეს უპირავს თვალი პროფესიული ცამეტკაციანი რაგბისკენ. მარტო 1987 წლის მსოფლიო თასის შემდგომ პერიოდში. უელსის ნაკრების შვიდი (!) წევრი — უკანა ხაზის მოთამაშეები: ჯ. დევისი, ა. ჰედლი, დ. ბიშოფი, ჯ. დევრო, ჯ. გრიფითსი, მორკინალები: პ. მორიართი და დ. იანგი — კარგი გასამრჯელოს გულისთვის ჩრდილოეთ ინგლისის პროფესიულ კლუბებში გადაბარგდა. მათ შორის უკანასკნელი „ბრიტანელი ლომების“ ბურჯი დევიდ იანგი იყო, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და ხუთი ერის პირველობის მეორე და მესამე ტურებს შუა 168 ათას გირვანქა სტერლინგად ლიდსის პროფესიულ კლუბში ამოჰყო თავი.

ბოლო დრომდე ლიგის რაგბი ავსტრალიის რაგბის კავშირსაც ართმევდა საუკეთესო მოთამაშეებს. მართალია, ავსტრალიაში ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე უელსში, მაგრამ აქ, ისევე როგორც მეზობელ პაპუა ახალ გვინეაში, ცამეტკაციანი რაგბი ჯაბნის თხუთმეტკაციანს. ამის შედეგად ბოლო სამ სეზონში ავსტრალიის ნაკრებს პროფესიონალებში გადასვლის გამო გამოაკლდნენ უკანა ხაზის ვარსკვლავები — ბ. ფეფვორსი, მ.

ბერჩი და ა. ლიდზი. მაგრამ შარშან აქაურმა რაგბის კავშირმა შეკლებული სპონსორები მიიზიდა და ჯერ გამოჩენილმა გარემარბმა დევიდ ქემფიზმა უარყო სარფიანი კონტრაქტი, სულ ახლახანს კი ავსტრალიის ნაკრების ყველა დროის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ მაიქლ ლიანაფმა 700 ათას დოლარადაც არ ისურვა ჩრდილოეთ სიდნეის პროფესიულ კლუბში გადასვლა.

სამხრეთ აფრიკაში პოლიტიკური ვითარების შეცვლის კვალად სარაგბო სტრუქტურაც იცვლება. მართალია, ბარე ხუთი წელია, რაც ზანგებსა და მეტისებს „თეთრ“ კლუბებში იღებენ, მაგრამ საერთაშორისო რაგბი ჯერაც ორ ორგანიზაციად — „თეთრების“ საბჭოდ და „ფერადთა“ კავშირადაა გაყოფილი. ახლახან მსოფლიო რაგბის მხცოვანი მოღვაწის, დოქტორ დანი ქრეივენის თაოსნობით, ქეიფთაუნში გაიმართა საბჭოსა და კავშირის მოლაპარაკება. მხარეები გაერთიანებაზე მორიგდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ 1995 წელს, როცა მესამედ, თანაც სამხრეთ ნახევარსფეროში, უნდა გათამაშდეს მსოფლიო თასი, სამხრეთი აფრიკა საერთაშორისო სარბიელზე დაბრუნებული იქნება და ალბათ ამ შეჯიბრების მასპინძლობაც დაეკისრება.

სულ მალე, მარტში, დამოუკიდებლობას მიიღებს სამხრეთ აფრიკის მეზობელი ნამიბია. ამასთან დაკავშირებით, მაის-ივნისში უელსის ეროვნული ნაკრები ამ ქვეყანაში გამართავს ხუთმატჩიან ტურნეს, რომლის პროგრამაში ორი „ტესტიც“ იქნება, აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკის პროვინციათა ბოლო ჩემპიონატში ნამიბიის გუნდმა, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის პროვინციის ნაკრები ერქვა, მეორე ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავა, სულ კი ამ შეჯიბრებაში 23 გუნდი გამოდიოდა.

სახლვარგარეთ რაგბი და მორაგბეები ქვეელმოქმედებით არიან ცნობილი. ახლაც, რუმინეთის დასახმარებლად, 22 აპრილს თვიქნემში მოეწყობა საქველმოქმედო მატჩი, რომელშიც დიდი ბრიტანეთის ქვეყნების ნაკრები დანარჩენი ევროპის ნაკრებს ეთამაშება. შეხვედრის მთელი შემოსავლის ნახევარ-ნახევარი, ე. ი. 237-237 ათასი გირვანქა სტერლინგი, რუმინეთის დახმარების ფონდსა და რუმინეთის რაგბის ფედერაციას გადაეცემა.

ფეხბურთი - ექიფსპელი



ულან-ბატორი. აქ დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი „ინტერნაციონალ-90“. შეჯიბრების ერთ-ერთი სიურპრიზია მსოფლიო ჩემპიონის ბორის ბუდაევის (68 კგ) დამარცხება ფინალში მონგოლ ჰ. ამართან. მოულოდნელია ეს შედეგი იმიტომ, რომ ბუდაევმა ყველა წინა ორთაბრძოლა წმინდად მოიგო და ამ ორთაბრძოლაშიც დაწინაურებული იყო.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს; ლ. სერგელენბატორმა (მონგოლეთი), კიმ გვან ლიმ, კიმ ენ სიკმა, ლი ვან ილმა (ყველა — კსდრ), ჰ. ამარმა (მონგოლეთი), ს. მურთაზალიევმა (სსრ კავშირი), პ. სუხბატმა, ჩ. ბიამბადორჟმა, ვ. ჟავხლანტუგსმა (ყველა — მონგოლეთი) და ი. კლიმოვმა (სსრ კავშირი).

ლესტერი (ინგლისი). მოცურავეთა მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე კანადელმა მარსელ გერიმ ორი მსოფლიო მიღწევა დაამყარა. 25 მეტრიან აუზში ბატერფლაის სტილით 50 და 100 მეტრი გაცურა შესაბამისად 24,07-სა და 52,07-ში.

ბელგრადი. ქალთა სათხილამურო რბოლაში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებს 320 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ნორვეგიის (260) და შვეიცის (200) წარმომადგენლები.

ტომსი (ნორვეგია). მოცეგურავე ქალთა სპრინტერულ მრავალჭიდში 500 მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად განვლილ და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა ანგელა ხაუკმა (გდრ) — 41,32. ვაჟებში ამავე დისტანციაზე ოქროს მედალი ერგო მის თანაგუნდელ ოლიმპიურ ჩემპიონს უვეიენს მაის — 37,16.

კალგარი. ქალთა ციგაობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა გაბი კოლიში (გდრ), რომელმაც ორი ცდის ჯამში აჩვენა 1,32,553. მეორე ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა იულია ანტიპოვამ (1.32,697), მესამე — დასავლეთგერმანელმა იანა ბოდემ (1.32,996).

სტოკჰოლმი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა სამი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს. პირველი ადგილები წილად ხვდათ სიგრძეზე მხტომელ გალინა ჩისტიაკოვას (6 მ 75 სმ), 200 მ. — მორბენალ გალინა მალჩუგინას (23,58), ჭოკით მხტომელ რადიონ გატაულინს (5,80 მ.).



ფეხბურთი - ჰოკეი

ჩოგბურთის ამბები

შტუტგარტი. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ბორის ბეკერმა (გფრ) მოიგო. ფინალში მან ადვილად დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი — 6:2, 6:2.

ვაშინგტონი. „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელები მარტინა ნავრატილოვა და ზინა ჰარისონი. გაიმარჯვა ნავრატილოვამ — 6:1, 6:0.

ოკლაჰომა-სიტი. აშშ-ს ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგო ამერიკელმა ემი ფრაიზერმა, რომელმაც ფინალში ჰოლანდიელ მანონ ბოლეგრაფს აჯობა — 6:4, 6:2.



„სპორტპროგნოზი“

მე-8 ტირაჟის შედეგები

(24-25 თებერვალი)

1—2, 2—X, 3—1, 4—1, 5—X, 6—1, 7—X, 8—X, 9—2, 10—1, 11—1, 12—2, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

იტალიის 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის საგზურები წილად ხვდა ორ ბილეთს: № 62907149 სერია „CA“. № 14282968 სერია „CA“. გარდა ამისა გათამაშდა მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზურების კანდიდატთა ბილეთების ნომრები: № 21057710 სერია „ЖА“, № 59298831 სერია „CA“, №55270388 სერია „CA“, № 59351848 სერია „CA“.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივანი — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,
„შერანი“ — 98-97-26, „ბირთვი“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრდილის წიგნის დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიზანიშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743